

ხელმძღვანელი: პროფესორი ასიე ცინცაძე

3.სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა

3.1.კვლევითი პროექტის დასახელება: სადაზღვევო ინდუსტრიის რისკ-კულტურა და პასუხისმგებლობის გავლენა ფინანსურ მდგრადობაზე

კვლევის სიახლე და აქტუალობა: სადაზღვევო ინდუსტრია თანამედროვე ფინანსური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და მრავალფეროვანი სექტორია. მისი როლი ეკონომიკაში არის უზრუნველყოფის ობიექტებისა და ბიზნესების რისკებიდან დაცვა, გაზარდოს კომპანიის ფინანსური მდგრადობა, უზრუნველყოს ეკონომიკური ტრანსაქციების სტაბილურობა, გავლენა მოახდინოს საბანკო სექტორზე და ინვესტიციებზე. თანამედროვე გლობალურ სამყაროში, სადაც ადგილი აქვს ფინანსურ კრიზისებს, პანდემიებს, კლიმატური კატაკლიზმებს, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა სულ უფრო მეტ მნიშვნელოვანს იძენს. სადაზღვევო სექტორის წარმატება ფინანსურ ობიექტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული კერძოდ, ორგანიზაციულ ქცევაზე და კულტურაზე, რისკის მართვის კულტურაზე, პასუხისმგებლიან მენეჯმენტზე, გადაწყვეტილების მიღების ეთიკურ სტანდარტებზე. აქედან გამომდინარე, საკვლევი თემა "სადაზღვევო ინდუსტრიის რისკ-კულტურა და პასუხისმგებლობა" არის ღრმად შესასწავლი, რომლის სავარაუდო სამეცნიერო შედეგი შეიძლება დადგეს

3.2 კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მთავარი მიზანია დადგინდეს, როგორ და რა მექანიზმით მოქმედებს ორგანიზაციული რისკ-კულტურა და მმართველობითი პასუხისმგებლობა სადაზღვევო ინდუსტრიაში კომპანიების ფინანსურ მდგრადობაზე, კერძოდ: გადახდისუნარიანობაზე (Solvency) ზარალიანობის დინამიკაზე, კაპიტალის ხარისხზე, ფინანსური რისკის ვოლატილობაზე. კვლევა ისახავს მიზნად დაამტკიცოს, რომ რისკ-კულტურა წარმოადგენს არა მხოლოდ ქცევით მახასიათებელს, არამედ ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუციურ ფაქტორს.

მიზნის მისაღწევად დაისახება შემდეგი ამოცანები:

- 1.რისკ-კულტურის კონცეფციის სისტემატიზაცია ფინანსურ ინსტიტუტებში;
- 2.პასუხისმგებლობის როლის ანალიზი სადაზღვევო სექტორში;
- 3.ფინანსური მდგრადობის ინდიკატორების კლასიფიკაცია;
- 4.რისკ-კულტურის საზომი ინდექსის შემუშავება;
- 5.ფინანსური მდგრადობის ინდექსის აგება;
- 6.სადაზღვევო კომპანიების მონაცემთა ბაზის ფორმირება;
- 7.რისკ-კულტურისა და ფინანსური მაჩვენებლების ურთიერთკავშირის შეფასება;
- 8.მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის დადგენა;
- 9.რისკ-კულტურის გავლენის შეფასება ვოლატილობაზე;
- 10.ფინანსური სტრუქტურის სცენარებში კულტურის როლის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისათვის გამოიყენება როგორც რაოდენობრივი ისე თვისობრივი მეთოდი.

ორგანიზაციული რისკ-კულტურის შეფასდება კითხვარებით;

ჩატარდება მმართველობითი პასუხისმგებლობის ინდიკატორების ანალიზი
სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი.

გამოიყენება ფინანსური შოკების სცენარების სიმულაცია;

კულტურის გავლენის შეფასება კრიზისულ პირობებში.

შედარებითი ანალიზი: მაღალი და დაბალი რისკ-კულტურის მქონე კომპანიების
შედარება.

ემპირიული მოდელის მათემატიკური ფორმულირება.